მამხილებლის ინსტიტუტი საქართველოში: არსებული პრაქტიკა და გამოწვევები

თინიკო ბაშარული

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა გოგოლაძე, მოწვეული მასწავლებელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების

ფაკულტეტის დეკანს ნინო მატარაძეს

ამავე უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის

მაგისტრანტის თინიკო ბაშარულის

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

თინიკო ბაშარული

29.06.2022

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეხება საქართველოში მამხილებლის ინსტიტუტის არსებული პრაქტიკისა და გამოწვევების შესწავლას. ქვეყანაში 2015 წელს განხორციელდა მამხილებლის ინსტიტუტის რეფორმა, რა დროსაც ცვლილებები შევიდა მხილების მარეგულირებელ კანონმდებლობაში და შეიქმნა მხილების ელექტრონული ვებგვერდი. თუმცა, გატარებული რეფორმის მიუხედავად გამოწვევები არსებობს მხილების მექანიზმის პრაქტიკაში დანერგვის ნაწილში. ამასთან, მწირია მამხილებლის ინსტიტუტის არსებული პრაქტიკის შესწავლაზე ორიენტირებული აკადემიური მასალები- ოფიციალური კვლევები და სტატიები, რაც ხაზს უსვამს წინამდებარე კვლევის საჭიროებასა და მნიშვნელოვნებას. ნაშრომის მიზანია მხილების მექანიზმის გამოყენების პრაქტიკის შესწავლა და არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება. აღნიშნული მიზნით ნაშრომი პასუხობს ორ საკვლევ შეკითხვას, კერძოდ, რა ტენდენციით ხასიათდება მხილების მექანიზმის გამოყენების პრაქტიკა საქართველოში და არის თუ არა საქართველოში მხილების მექანიზმის პრაქტიკაში დანერგვის გამოწვევა საჯარო მოსამსახურეების დაბალი ინფორმირებულობა მამხილებლის ინსტიტუტთან დაკავშირებით. საკვლევი საკითხები შესწავლილ იქნა საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვილი მონაცემებისა და საჯარო მოსამსახურეების რაოდენობრივი გამოკითხვის საფუძველზე. სამაგისტრო კვლევით გამოიკვეთა მხილების მექანიზმის პრაქტიკაში დანერგვის პრობლემები, კერძოდ, მხილების განაცხადების სიმცირე და კლების ტენდენცია, საჯარო მოსამსახურეების დაბალი ინფორმირებულობა მამხილებლის ინსტიტუტსა და მხილების საშუალებებთან დაკავშირებით, საჯარო დაწესებულებების მიერ მხილების სტატისტიკების წარმოების პრობლემა და მამხილებელთა დაცვის გარანტიების გამოყენების შემთხვევების სიმცირე. წინამდებარე ნაშრომი საინტერესო იქნება საკითხით დაინტერესებული ნებისმიერი პირისა და ამასთან, მხილების მექანიზმის პრაქტიკაში დანერგვაზე პასუხისმგებელი საჯარო დაწესებულებებისთვის, რათა კვლევის ფარგლებში გამოკვეთილი პრობლემების საპასუხოდ, განისაზღვროს

კონკრეტული აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს მამხილებელთა დაცვის კანონმდებლობის პრაქტიკაში ქმედით აღსრულებას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მამხილებლის ინსტიტუტი, ინფორმირებულობა, მამხილებლის ინსტიტუტის რეფორმა, მამხილებელთა დაცვა

Abstract

This Master's paper is dedicated to stadies of practices and challenges of whistleblower institution of Georgia. In 2015 whistleblower institution reform was implemented in Georgia when were made alterations of the whistleblower regulatory legislation and whistleblowing electronic website was created. However, despite the reform implementation, challenges exist in the whistleblowing mechanism introduction in practice. Besides, academic materials oriented to studies of the whistleblower institution practice- official researches and articles are few, which emphasizes necessities and importance of this research. Purpose of this research is to study the whistleblowing mechanism usage practice and identify existing challenges. For this purpose the paper replies two issues to be researched, in particular, what tendencies are characteristic for the whistleblowing mechanism usage practice in Georgia and whether the whistleblowing mechanism introduction in practice challenge caused with low awareness of public officials about the whistleblower institution. The issues under research were studied on the grounds of the materials delivered from public autorities as well as upon public officials' quantitative survey. This Master's paper detected the whistleblowing mechanism introduction in practice problems, in particular, insignificant quantity of whistleblowing applications and their decrease tendency, low awareness of the public officials about whistleblower institution and whistleblowing means, whistleblowing statistics keeping problem by public bodies and scarceness of whistleblowers protection warranties usage cases. This paper should be interesting for any and all persons concerned in this issue as well as for the public bodies responsible for the whistleblowing mechanism introduction in practice in order to respond to the problems identified whithin framework of research, determine specific activities, which will contribute to efficient practical performance of the whistleblowers protection legislation.

Key words: Whistleblower Institution, Awareness, Whistleblower Institution Reform, Protection of Whistleblower